მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №238
2018 წლის 24 მაისი
დ. მესტია

ა.(ა).იპ „მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი წესდების დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 21-ე მუხლების, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად იქნეს გამოცხადებული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 06.06.2007 წლის №5 განკარგულებით დამტკიცებული ა.(ა).იპ „მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდება.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ახალი წესდება წარმოდგენილი რედაქციით.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი წესდების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს ა.(ა).იპ-ის დირექტორს ნიალი ბჟალავას (პ/ნ: 30001002420).
4. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com
ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@rambler.ru
ვებგვერდი: www.mestia.ge

დამტკიცებულია
მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
2018 წლის 24 მაისის N238 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი"-ს ცნება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრი (შემდგომში „ცენტრი") არის მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პუნქტი 1, მე-16 მუხლის პუნქტი 4, მე-17 მუხლი, მე-20 მუხლის პუნქტი 1, მუხლი 106[1] 1-ლი და მე-6 პუნქტის საფუძველზე დაფუძნებული სამსახური, რომელიც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დაავადებათა კონტროლს, ეპიდზედამხედველობას, (მათ შორის ლაბორატორიულ და ელექტრონულ ეპიდზედამხედველობას) უზრუნველყოფს სამედიცინო საინფორმაციო სისტემის, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას და სახელმწიფო პროფილაქტიკურ-პროგრამულ ღონისძიებების განხორციელებას .

2. „ცენტრი" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ამ წესდებით და სამსახურის შინაგანაწესით. მისი ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ წესდებით, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

3 „ცენტრს"-ს გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ანგარიში და კოდი სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ელექტრონული მომსახურების სისტემაში, ბეჭედი სრული დასახელების აღნიშვნით და იურიდიული პირისათვის კანონით დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

4. „ცენტრი"-ის იურიდიული პირის უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოებში რეგისტრაციის მომენტიდან.

5. „ ცენტრის"-ს იურიდიული მისამართია:დაბა მესტია, რისთაველის ქუჩა,N4; ტელეფონი: (+995)99193559; E- mail: mestiasjc@gmail.com

6. იურიდიული პირის საქმიანობის ვადა ისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 2. ,,ცენტრი"–ს მიზნები და ამოცანები

"ცენტრის" ძირითადი მიზანია სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით;

"ცენტრის" ძირითადი ამოცანებია :

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემთა (72 დაავადება და მდგომარეობა) შეყვანა.
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა სამედიცინო დაწესებულებებთან (პირველადი ჯანდაცვის (პჯდ)-ს და ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად, განხორციელების ლოგისტიკური ხელშეწყობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის სახით;
- იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა.
- სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (დკსჯდ) ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯანდაცვის დაწესებულებებში (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები) დაავადებათა რეგისტრაცის, შეტყობინებინების სისტემის ფუნქციონირების, ანგარიშგების მოწესრიგების ხელშეწყობა, მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარების გაწევა კომპეტენციის ფარგლებში;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა. პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას (აღრიცხვა-რეგისტრაციას დაქვემდებარებული გადამდები დაავადებების გამოვლენა, მათზე ეჭვის მიტანა ან ეპიდაფეთქება);
- ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, ავადობის გრძელ და მოკლე ვადიანი პროგნოზირების მიზნით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება დკსჯდ ეროვნულ ცენტრის მონაწილეობით მოსახლეობისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.

- ჯანსაღი ცხოვრების წესის და უნარების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა;
- ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
- ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, გადაწყვეტილებათა და დასახულ ქმედებათა კოორდინაცია პროფილურ ცენტრალურ სტრუქტურებთან;
- პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება, ზრუნვა პროფესიული რეზერვის შექმნაზე;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. პრევენციული ღონისძიებების გატარება.
- პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია, პროფილაქტიკური მკურნალობის ორგანიზება.
- ჯანმრთელობის ადვოკატირება, კომუნიკაციის გაუმჯობესება, მოსახლეობაში საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროებების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. ინფორმაციის კონსოლიდირება ელექტრონულ ფორმატში და ანგარიშგება დადგენილი წესით.
- საქართველოს მთავრობის # 485 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
- წყალმომარაგების სისტემის, სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

- "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის თავი 2, მუხლი 5, პუნქტი 3^1, 3^2-ით განსაზღვრული ნორმების შესრულების მონიტორინგი, დარღვევების რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზებში.
- „ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობის კომპონენტის განხორციელება, ასევე „ტუბერკულოზის კონტროლის" კანონით სჯდ ცენტრებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
- "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების (სკრინინგი) მხარდაჭერა მოსახლეობის ინფორმირებულობის და მობილიზაციის გზით, მკურნალობის პროცესში ჩართვის ზედამხედველობა.
- ვერბალური აუტოფსიის მეთოდით სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ხელშეწყობა.

- „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობა.
- მუნიციპალური პროგრამების, პროგრამულ ღონისძიებათა ფორმირება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე წინა წლების (მინიმუმ 3 წელი მაინც) ავადობის შესახებ სამედიცინო-სოციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, პროგნოზული გათვლების საფუძველზე და საქართველოს შჯსდა სამინისტროს ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) პირობათა გათვალისწინებით.
- არაგადამდებ დაავადებების, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიების, თამბაქოს, ქრონიკულ რესპირაციული დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, კიბოს, მარილის ჭარბი მოხმარების, სიმსუქნის, ტრავმატიზმისა და ძალადობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ადგილზე განხორციელების ხელშეწყობა.
- სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, დკსჯ ეროვნული ცენტრის ლაბორატორიული პოტენციალის გამოყენებით ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის დაცვის სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული საავადმყოფოს შიგა ინფექციების პროფილაქტიკის ხელშეწყობა.
- სამოქმედო ტერიტორიაზე საწარმოების, დაწესებულებების, მათ შორის საკურორტო/სარეკრეაციო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაზე მეთვალყურეობა. საჭიროების შემთხვევაში ოფიციალური შეტყობინებების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.
- ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა საწინააღმდეგო სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, კერების ეპიდემიოლოგიური შესწავლა-მონიტორინგის, სანიტარიულ-პროფილაქტიკური სამუშაოების (დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, კონტაქტირებულთა ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის კლინიკური ნიმუშებისა და გარემო ობიექტების მასალის აღება) ორგანიზების ხელშწყობა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების და ექიმი ფიზიკური პირების კოორდინაციისა და ინტეგრირების ხელშეწყობა პროფილაქტიკურ და პროგრამებში.
- მონაწილეობა შჯსდ სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასწავლო ღონისძიებებსა და ტრენინგებში:

მუხლი 3. ,,ცენტრი“-ს ვალდებულებები :

1. ,,ცენტრი“ ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეასრულოს ამ წესდებით განსაზღვრული მოთხოვნები და ფუნქციები.
2. პასუხისმგებელია მასზე გაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასა და დაცვაზე.
3. თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით მიიღოს შჯსდ სამინისტროს მიერ განსაზღვრული ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებიდან.

4. კომპეტენტურ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები, წარუდგინოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს განსახილველად.
5. მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს ისინი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულება შედის ,,ცენტრი"-ს კომპეტენციაში.

მუხლი 4. ,,ცენტრი"-ს საქმიანობის ორგანიზება, მართვა.

1. ,,ცენტრი"-ს საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი, შჯსდ სამინისტროს პროფესიული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
2. ,,ცენტრი "-ს დირექტორი:

ა) განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტის პარამეტრებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მერიის საფინანსო სამსახურის მიერ დაშვებული ასიგნებებისა და შჯსდ სამინისტროს მიერ მოწოდებული ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინი) ინსტრუქციების მიხედვით.

ბ) მუნიციპალიტეტის მერიის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ადგენს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფუნქციურ სამტატო ნუსხას და ხარჯთაღრიცხვას, ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინი) მიხედვით.

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს.

დ) შეიმუშავებს და მერს წარუდგენს ,,ცენტრი"-ს თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სამუშაოთა აღწერილობებს, ცოდნისა და პროფესიული უნარების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, საჭიროების შემთხვევაში დამატებით (კონტრაქტით) იწვევს პროგრამულ ღონისძიებებში მონაწილე სპეციალისტებს საჭირო კომპეტენციების გათვალისწინებით.

ე) ადგენს და კვარტალურ, წლიურ ფინანსურ ანგარიშებს და წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

ვ) ცენტრის სახელით კანონმდებლობით დადგენილი წესით აფორმებს შრომით და სხვა სახის ხელშეკრულებებს, მათ შორის მესამე პირთან.

ზ) მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს სახელფასო ფონდის პარამეტრებს, რომელიც აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში და წარედგინება თვითმმართველობას დასამტკიცებლად;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ,,ცენტრი"-ს ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ,,ცენტრი"-ს ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე;

ი) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ,,ცენტრს" ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს.

კ) არსებული ფულადი და მატერიალური ფონდის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ,,ცენტრის" თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შიდა ბრძანებებს, პასუხისმგებელია "ცენტრის" კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული, თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვაზე, აგრეთვე მის მიერ გამოცემული შიდა ბრძანებების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.

მ) წესდებით განსაზღვრული კომპენტენციის ფარგლებში ადგენს და ამტკიცებს ,,ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ნ) მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს ,,ცენტრი"-ს წესდებაში შესატან ცვლილებებისა და დამატებების შესახებ წინადადებებს.

ო) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონით დადგენილი სხვა მოქმედებები;

პ) ადგენს ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებულ მუნიციპალურ პროგრამებს.

ჟ) უშუალოდ ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რისთვისაც წელიწადში ორჯერ წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ, ხოლო ეპიდსიტუაციის შეცვლისას - ოპერატიულ ინფორმაციას;

საქართველოს შჯსდ სამინისტროს (დკსჯდ ეც მეშვეობით) ყოველთვიურად აწვდის ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვადების და სტატისტიკური ფორმების შესაბამისად.

რ) ცენტრის დირექტორი არის თანამდებობის პირი ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. ,,ცენტრი"-ს ქონება

1. ,,ცენტრი "-ს ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ-მოძრავი ქონება), რომელიც ,,ცენტრ"-ს გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად და წარმოადგენს მუნიციპალური ცენტრის საკუთრებას.

2. დაფინანსების ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება.

მუხლი 6. დაფინანსება, ანგარიშგება

1 ,,ცენტრი "-ს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2 ზემოთაღნიშნული მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ,,ცენტრი "-ს და ფუნქციების განხორციელებას, სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ,,ცენტრს" შეუძლია მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები ,,ცენტრი"-ს ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ,,ცენტრ "-ს იჯარის ხელშეკრულებით ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა შეუძლია მერთან შეთანხმებით.

მუხლი 8. ,,ცენტრი"-ს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება

1 ,,ცენტრი " ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და კვარტალურად და წლიურად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

2 ,,ცენტრი " საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ,,ცენტრი"-ს დირექტორი.

3 ,,ცენტრი" ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს წლის გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში და საფინანსო საქმიანობის შემოწმების შესახებ აუდიტორული დასკვნა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში

მუხლი 9. ,,ცენტრი"-ს საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი

1 ,,ცენტრი"-ს საქმიანობა ექვემდებარება მონიტორინგსა და კონტროლს. საქართველოს მთავრობის ყოველწლიური დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების/კომპონენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას, (ყოველთვიურ დოკუმენტურ მონიტორიგს), ხოლო კვარტალში ერთხელ ადგილებზე აწარმოებს დკსჯდ ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი;

2 ,,ცენტრი"-ს საქმიანობის კონტროლი გულისხმობს, ,,ცენტრი"-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3 მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ,,ცენტრი"-ს საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის მასალები და ინფორმაცია.

მუხლი 10. ,,ცენტრი"-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

1 ,,ცენტრი"-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

2 ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების განაწილება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. „ცენტრი“-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1 „ცენტრი“-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე და მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.
2. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი გათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
3. ამ წესდების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი